

შპს "ემ ქეი სი"

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტების

შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 შპს ემ ქეი სი და მისი საქმიანობა.....	6
2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
3 გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	10
4 ძირითადი საშუალებები.....	10
5 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11
6 გადახდილი ავანსები.....	12
7 მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ.....	12
8 კაპიტალი	12
9 კრედიტორული დავალიანება	13
10 შემოსავლები	13
11 პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	13
12 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	13
13 სხვა საოპერაციო ხარჯები	14
14 ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.....	14
15 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	28	49	32
სულ გრძელვადიანი აქტივები		28	49	32
მოკლევადიანი აქტივები				
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	56	15
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები	6	401	35	9
მარაგები		52	52	24
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	7	2	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	96	175	35
სულ მოკლევადიანი აქტივები		551	318	83
სულ აქტივები		579	367	115
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		560	270	113
სულ კაპიტალი		560	270	113
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	9	6	23	2
მიღებული ავანსები		-	74	-
საგადასახადო ვალდებულებები		13	-	-
სულ ვალდებულებები		19	97	2
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		579	367	115


გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ემ ქეი სი" სახელით 2022 წლის 31 იანვარს



ლევან ახვლედიანი
გენერალური დირექტორი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავლები	10	3,703	3,984
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	11	(3,079)	(2,968)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(228)	(269)
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი		-	(2)
სამივლინებო ხარჯები		(54)	(387)
სხვა საოპერაციო ხარჯი	13	(49)	(173)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		2	4
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(5)	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		290	189
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)	14	-	(32)
სავალუტო ოპერაციებიდან:			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		290	157
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)		290	157
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის სრული მოგება/(ზარალი)		290	157




ლევან ახვლედიანი
 გენერალური დირექტორი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	113	113
წლის სრული მოგება/(ზარალი), სულ	-	157	157
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	270	270
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	270	270
წლის სრული მოგება/(ზარალი), სულ	-	290	290
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	560	560


 ლევან ახვლედიანი
 გენერალური დირექტორი

1 შპს ემ ქეი სი და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „ემ ქეი სის“ წლიურ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, საწარმოს წლიური ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. შპს „ემ ქეი სის“ საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ემ ქეი სი“ (შემდგომში „კომპანია“) 2016 წლის 11 ოქტომბერს საქართველოში დააფუძნა შპს „თიბისი ჰოლდინგმა“. კომპანია დაფუძნდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (საიდენტიფიკაციო ნომერი N404521175).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები. პორტის სამშენებლო მოედანზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.

2019 წლის 31 დეკემბრის მიხედვით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის შპს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თიბისი ჰოლდინგი, (ს/ნ 404468884).

2019 წლის 31 დეკემბრის მიხედვით კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობას შეადგენდა 24 თანამშრომელს.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი

კომპანიის იურიდიული მისამართია: მარჯანიშვილის ქუჩა #6, 0102 თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილი არის ანაკლია, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდგომში „ლარი“), თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული.

შვილობილი კომპანიები

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მცირე და საშუალო საწარმოების ფასს“) შესაბამისად. კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგება წარედგინება პირველად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველად გამოყენებულ იქნა პირვანდელი ღირებულების მეთოდი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „მცირე და საშუალო საწარმოების ფასს“) გამოყენება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც კომპანიამ მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის მიხედვით მოამზადა.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაცაა, ვინაიდან ლარი წარმოადგენს იმ პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც კომპანია საქმიანობს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების აღიარების თარიღისათვის დადგენილი ლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ყოველგვარი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება, და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების აქტივის შემდგომი ხარჯების აღიარება ხდება ამ აქტივის საბალანსო ღირებულებით, ან ცალკე აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ამ აქტივიდან და შესაძლებელი იქნება მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს აღდგენით ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, საჭიროების შემთხვევაში შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

*(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც წყდება აქტივის აღიარება.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების აქტივების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
საოფისე აღჭურვილობა (ტექნიკა)	3 წელი
საოფისე ავეჯი	5 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისაა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

საოპერაციო იჯარა

თუ კომპანია გამოდის მეიჯარედ ისეთ საიჯარო ურთიერთობაში, რომელშიც არ ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა მეიჯარისგან კომპანიაზე, მთლიანი საიჯარო გადასახადი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

იჯარის ვადა ნიშნავს პერიოდს, რომელიც არ შეიძლება შეწყდეს და რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება აქტივის იჯარაზე, ნებისმიერი მომდევნო ვადებით, რომლებითაც მოიჯარეს შეუძლია აქტივის იჯარის გაგრძელება შემდგომი ანგარიშსწორებით ან მის გარეშე, თუ იჯარის დასაწყისშივე არის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი, რომ მოიჯარე ამ ოფციონს გამოიყენებს.

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება, როდესაც კონტრაქტის ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს; სავაჭრო კრედიტორული დავალიანების პირველადი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს მიმდინარე ანგარიშებზე და ბიზნეს ბარათებზე და საბანკო ანაბრებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება იმ პარტნიორებზე/აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**დამატებული ღირებულების გადასახადი**

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებით ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ნაწილში. 2016 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სხვადასხვა საგადასახადო ანგარიშები ერთმანეთთან გაიქვითება, ერთიანდება ერთ ოდენობად და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3 გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019, 2018 და 2017 წლებში მოიცავდა ორ კატეგორიას: საოფისე აღჭურვილობას (ტექნიკას) და საოფისე ავეჯს. მათი სასარგებლო გამოყენების ვადა არის 3 და 5 წელი, შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები:

დასახელება	საოფისე აღჭურვილობა (ტექნიკა)	საოფისე ავეჯი	სულ
თვითღირებულება 01.01.2017	-	-	-
შემოსვლა	35	2	36
გასვლა	-	-	-
ნაშთი 31.12.2017	35	2	36
თვითღირებულება 01.01.2018	35	2	36
შემოსვლა	29	8	37
გასვლა	-	-	-
ნაშთი 31.12.2018	63	10	73
თვითღირებულება 01.01.2019	63	10	73
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ნაშთი 31.12.2019	63	10	73

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**დაგროვილი ცვეთა**

დასახელება	საოფისე აღჭურვილობა (ტექნიკა)	საოფისე ავეჯი	სულ
დაგროვილი ცვეთა 01.01.2017	-	-	-
წლიური ცვეთა	4	0	4
გასული აქტ.დაგრ ცვეთა	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017	4	0	4
დაგროვილი ცვეთა 01.01.2018	4	0	4
წლიური ცვეთა	18	3	20
გასული აქტ.დაგრ ცვეთა	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	22	3	25
დაგროვილი ცვეთა 01.01.2019	22	3	25
წლიური ცვეთა	18	3	21
გასული აქტ.დაგრ ცვეთა	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	39	6	45

საბალანსო ღირებულება	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
საოფისე აღჭურვილობა (ტექნიკა)	24	42	31
საოფისე ავეჯი	4	7	1
სულ	28	49	32

5 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2019 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აშშ დოლარი	2.8677	2.6766	2.5922
ევრო	3.2095	3.0701	3.1044
ბრიტანული ფუნტი	3.7593	3.3955	3.5005

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული საბანკო ანგარიშზე	96	175	35
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	96	175	35

6 გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	401	35	9
თანამშრომლებისთვის გადახდილი ავანსები	-	-	-
გადახდილი ავანსები, სულ	401	35	9

7 მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	2	-	-
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ, სულ	2	-	-

8 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის პარტნიორთა მიერ. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

(რიგხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9 კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
კრედიტორებისთვის გადასახდელი თანხები	6	23	2
სულ კრედიტორული დავალიანება, მოკლევადიანი	6	23	2

10 შემოსავლები

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები	3,703	3,984
სულ შემოსავლები	3,703	3,984

11 პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ხარჯები	3,079	2,920
თანამშრომლების დაზღვევის ხარჯები	-	47
სხვა პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	-	1
სულ პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	3,079	2,968

12 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ცვეთა და ამორტიზაცია	21	20
ლიზინგის ხარჯი	-	84
საიჯარო ხარჯი	153	101
საოფისე ხარჯები	1	10
კომპიუტერის ხარჯი	48	44
საკანცელარიო ხარჯი	1	5
სატრანსპორტო ხარჯი	2	2
კომუნალური ხარჯი	-	1
საბანკო ხარჯი	2	2
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	228	269

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13 სხვა საოპერაციო ხარჯი

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
სოციალური დანარიცხები	33	-
სხვა ხარჯი	16	173
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	49	173

14 წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
წმინდა საკურსო ზარალი/(შემოსულობა)	-	32
სულ წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-	32

15 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID-19“) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა.

მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი.

2020 წლის 21 მარტიდან შეწყდა რეგულარული ფრენები. 2020 წლის სექტემბრიდან კორონავირუსის მეორე ტალღას ებრძვის სრულიად მსოფლიო.